

ლელა ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Lela.avaliani@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.02>

ემშაკთან დაკავშირებული რამდენიმე გამოთქმისთვის არაბულში

საკვანძო სიტყვები: ემშაკთან დაკავშირებული ლექსიკა, არაბული ენა

შესავალი: ყველა რელიგიასა და თუ ხალხის წარმოდგენაში ვხვდებით კეთილი და ბოროტი სულების კონცეფციას. ყველას მიაჩნია, რომ წარუმატებლობის, ავადმყოფობის, მარცხის ან თუნდაც ხელმოცარვის მიზეზი შეიძლება, ბოროტი სული, ემშაკი იყოს.

ბოროტი სულების შესახებ მრავალი წარმოდგენა და ცრურწმენა არსებობს. პოლი-თეისტურ რელიგიებში ბოროტების ჩადენა შეეძლოთ როგორც დემონებს, ისე ღმერთებს. მონოთეისტურ რელიგიებში ემშაკები შეიძლება ჩაითვალოს ერთი ღმერთის მსახურებად.

პრეზენტირებული კვლევა მიზნად ისახავს ემშაკთან (შაიტანი) დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპარატივისტულ ანალიზს ქართულ და არაბულ ენებში. ემშაკის ფიგურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორივე ენისა და კულტურის კონტექსტში, რაც აისახება მდიდარ ფრაზეოლოგიურ მასალაში. კვლევის მიზანია ამ ერთეულების ლინგვისტური, კულტურული და კონტექსტუალური ანალიზი, რათა გამოიკვეთოს ენობრივი და კონცეპტუალური პარალელები და განსხვავებები.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოყენებულია შეპირისპირებითი და აღწერითი მეთოდები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს, გავანალიზოთ ემშაკთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები მათი სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებებით.

საკვლევი მასალა მოპოვებულია არაბული და ქართული ლექსიკონებიდან, ფრაზეოლოგიური კრებულებიდან და ცოცხალი მეტყველებიდან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფრაზეოლოგიზმების იდიომატურობის ხარისხის განსაზღვრას და მათ რელიგიურ-კულტურულ კონტექსტში გააზრებას.

მსჯელობა: სატანა, ემშაკი, ლუციფერი, ბელზებელი, შაითანი - როგორც კონცეპტუალური ფიგურა, მრავალ კულტურაში გვხვდება. ყურანის მიხედვით, სატანა ცეცხლის-განაა გაჩენილი. სანამ ღმერთი ადამიანს გააჩენდა, სატანა ანგელოზის მსგავსად ცხოვრობდა. ემშაკმა პირველი ადამიანის, ადამის, გაჩენის გამო იეჭვიანა და როდესაც ღმერთმა ანგელოზებს ადამის წინაშე სეჯდეს (თაყვანისცემა) შესრულება უბრძანა, მათგან განსხვავებით, ემშაკმა არ შეასრულა. მიზეზი ასე ახსნა: „მე მასზე უკეთესი ვარ, რადგან ღმერთმა მე

ცეცხლისგან, ხოლო იგი ტალახისგან გააჩინა!“. სწორედ სიამაყის გამო განდევნა იგი უფალ-
მა. მუჰამად წინასწარმეტყველი ერთ-ერთ ჰადისში სატანის შესახებ ასე საუბრობს: „იგი
ადამიანის ორგანიზმში სისხლის მსგავსად მოძრაობს.“ ამით მოციქული ეშმაკისა და
ადამიანის ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას და მორწმუნეებს მისგან თავის
დაცვისკენ მოუწოდებს. ეშმაკი თვითონ აცხადებს, რომ ადამიანების ჯოჯოხეთში
მოხვედრისთვის ყველა ხერხს და ფორმას მიმართავს. სურა „აღრაფის“ მე-16 და მე-17
აიებში ვკითხულობთ: „მიუგო, უთუოდ ჩავუსაფრდები მე მათ, ადამიანებს, შენ სწორ
გზაზე მოსიარულეთ... მერე უთუოდ გამოვეცხადები ყველა მხრიდან. ვერ ჰპოვებ მათგან
უმეტესს მაღლიერს!“ [12].

აიებსა და ჰადისებში ნათლად ჩანს, რომ ეშმაკის მთავარი მიზანი ადამიანთა მოღმის
სწორი გზიდან გადაყვანაა. ყურანის მიხედვით, მუსლიმი ყოველთვის ფრთხილად უნდა
იყოს და ეშმაკს არ უნდა აუბას მხარი. ეშმაკი ადამიანს ძირითადად ნამაზის (ლოცვის)
დროს უახლოვდება და ყველანაირად ცდილობს მის შეცდენას. ეშმაკთან ბრძოლაში
ადამიანი მარტო არ არის, მას ანგელოზები იცავენ. ღმერთი ახსენებს მორწმუნეებს, რომ
მისი ხსენების შემთხვევაში იგი ყოველთვის დაიცავს მათ ეშმაკისგან. ეს საკითხი ყურანში
ასეა გაშლილი: „და თუ ეშმაკმა გიბიძგოს ცდუნებისკენ, უმაღვე ალლაჰს მიეკედლე. ჭეშმა-
რიტად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა. ჭეშმარიტად, რომელნიც მოკრძალებულნი
არიან ღვთისადმი, თუ მათ ეშმაკის მხრიდან რამე ავი შეეხოთ, გაიხსენებენ ალლაჰს და
დაინახავენ ისინი ჭეშმარიტებას და უკუმოიქცევიან“ [12].

ეშმაკის ფიგურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ქართულ, ისე არაბულ
ენასა და კულტურაში. ორივე ენა შეიცავს მდიდარ ფრაზეოლოგიურ მასალას, რომელიც
ასახავს ეშმაკთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა თუ მორალურ დისკურსებს.
წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ეშმაკს უკავშირდება, ხშირად
გამოხატავენ ადამიანის მანკიერებებს, ცდუნებას, სიხარბეს, ჭკუამახვილობასა და
მზაკვრობას. არაბულში ეშმაკის აღმნიშვნელი სხვადასხვა სახელი გვხვდება. ესენია:
عَفْرِيتٌ, مُلْعُونٌ, مَخْزِيُّ, لَعِينٌ, شَرِيرٌ, بَاطِلٌ, شَيْطَانٌ, إِبْلِيسٌ. ხ. ბარანოვის არაბულ-რუსული ლექსიკონის
მიხედვით, ზმნის ძირი شَيْطَن ნიშნავს იმას, რომ ის დაშორდა ყველაფერს, რაც არის კარგი და
ჭეშმარიტი [8, 1977:424]. სიტყვა შაიტანი شَيْطَان გამოიხატება არაბული ყალიბით قَيْطَان.
აღნიშნული სიტყვა ისლამამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა არაბულ, სირიულ, არამეულ
და ეთიოპიურ ენებში. ყურანში შაიტანი მოხსენიებულია, როგორც: 1. ადამიანის მტერი; 2.
ამბოხებული ანგელოზი; 3. მაცდუნებელი; 4. უკუგდებული, დაწყევლილი الرَّجِيم.

ეშმაკის გაგების დიფერენციატა ფრაზეოლოგიზმებში: ფრაზეოლოგიზმებით,
ეშმაკის გაგება რამდენიმე ძირითად კატეგორიად იყოფა. პირველ რიგში, ის ასოცირდება
ცდუნებასა და ცოდვასთან, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა რელიგიურ კონტექსტში.
მეორე მხრივ, ეშმაკი ხშირად განიხილება როგორც მოხერხებულობისა და ჭკუის სიმბოლო,
რაც ზოგიერთ გამოთქმაში პოზიტიურ კონოტაციას იძენს. ამასთან, გარკვეულ ფრაზებში
ეშმაკი გარეგნულ ნიშნებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, მახინჯი ან საშიში იერის
აღსაწერად. ბოლო ჯგუფს მიეკუთვნება ფრაზები, რომლებიც ეშმაკისგან თავდაცვის
ტრადიციულ საშუალებებს ასახავენ, რაც კულტურულად სპეციფიკური პრაქტიკების
ფორმირებაზე მიანიშნებს.

1. ეშმაკი და ცდუნება: ეშმაკი რომ მუდმივად ადამიანის შეცდენას ფიქრობს, ამის დამადასტურებელი გამოთქმები ორივე ენაში დასტურდება. *كل واحد له شيطان*, „ყველა ადამიანს ჰყავს ეშმაკი“ - ასე წარმოუდგენია არაბსაც და ქართველსაც. **ეშმაკმა აცდუნა, ეშმაკმა აიტანა, ეშმაკი შეუჯდა გვერდებში, ეშმაკი დაეუფლა, სხეულში ეშმაკი ჩაუსახლდა, ეშმაკმა სძლია, ეშმაკის კერძი გახდა, ეშმაკის კარნახით მოქმედებს, ეშმაკმა ჩაიგდო ხელში...** (სახოკია თ., 1979:188-193). არაბულში *كأنما مسه الشيطان* ნიშნავს, „თითქოს ეშმაკი შეეხო, /ჩაუსახლდა“; *دخل الشيطان في قلبه*, „ეშმაკი შევიდა მის გულში“, *غشو الشيطان*, „ეშმაკი დაეუფლა, დაფარა“, *املى له الشيطان*, „ეშმაკმა შთაბერა ბოროტი აზრები, აცდუნა“, *وسوس الشيطان*, „ეშმაკმა უკარნახა“, *الشيطان راكب على ظهره*, „ეშმაკი ზურგზე შემოჯდომია“ [8., 1977]. ეს გამოთქმები გამოიყენება ბოროტისმოქმედ ადამიანებთან მიმართებით. ორივე ხალხის წარმოდგენით, ეშმაკი ნიადაგ იმის ცდაშია, ანგელოზს სძლიოს და ადამიანს ცოდვები ჩაადენინოს, ბოროტების გზაზე დააყენოს. ეშმაკის მიერ შეცდენილი ადამიანი უსაზღვროდ ბოროტია, წარწყმედის გზაზეა დამდგარი, ყველასთვის სიავე უნდა, მის გულს სხვისი სიბრალოლი აღარ შეუძლია? *أي شيطان أضلني حين؟* „რომელმა ეშმაკმა შემაცდინა /ამირია გზა მაშინ?“ არაბული ფრაზეოლოგიზმები ხშირად გამოხატავენ ადამიანთა ისეთ ქმედებებს, რომლებიც ეშმაკისგან არის შთაგონებული. **კაცი რომ თავს სიავეს უზამს, იმოდენას შვიდი ეშმაკიც ვერ უზამსო** - ადამიანი შეიძლება საკუთარი თავის ყველაზე დიდი მტერი აღმოჩნდეს. *إلى أين يحملك الشيطان؟* „საით მიჰყავხარ ეშმაკს?“ არაბს მიაჩნია, რომ ეშმაკის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი გაურკვეველი მიმართულებით მიდის. საინტერესოა ქართულში დადასტურებული გამოთქმა „იოზის ეშმაკი“. მას მეტად ავ, ცუდ, ბოროტ ადამიანზე ამბობენ. იოზის ეშმაკი ის ეშმაკია, რომელიც მამამთავარ იოზს შეუჩნდა გამოსაცდელად.

2. ეშმაკი და ცოდვები: გვხვდება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანთა ნებაყოფლობითი ცოდვების კონტექსტში გამოიყენება, აჩვენებს, რომ ეშმაკი ხშირად წარმოადგენს ადამიანთა ცუდი გადაწყვეტილებების სიმბოლოს. ეშმაკის კვალზე დამდგარ ადამიანზე იტყვიან: **ეშმაკს სული მიჰყიდა** *باع نفسه للشيطان* ბოროტებამ შეიპყო, მისი თანამონაწილე გახდა. *أطاع الشيطان ولم يطع عقله*, „ეშმაკს დაუჯერა და არა საკუთარ გონებას“. **ეშმაკს დაუმოყვრდა**, იტყვის ქართველი. აქ კარგად იკითხება, რომ ადამიანმა თავისი მომავალი თავისივე ნებით განსაზღვრა. თავად ჩადგა ეშმაკის კვალში. მის ნაბიჯებს მიუყვება. ამ კონტექსტით გამოიყენება არაბულში აგრეთვე „ეშმაკის ნაბიჯები“ *خطوات الشيطان* [11, 2014: 298-302]). არაბი ბოროტ ადამიანებზე, რომლებიც სხვას ეშმაკის მსგავსად აცდენენ, უბიძგებენ ცოდვების ჩადენისკენ და ამით ეშმაკს ეხმარებიან, იტყვის *الشياطين الإنس* *إن الشياطين* ან *إخوان الشياطين* „ადამიანის დემონები“ ან „ეშმაკთა ძმები“ [11. 2014: 298-302]. *ينتصر الشيطان فقط*. „სატანა იმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანებს სჯერათ, რომ მათ ყველა ცდუნება გადალახეს“. ეს გამონათქვამი ადასტურებს, რომ ადამიანის სისუსტე ხშირად მის გადაჭარბებულ თავდაჯერებულობაშია. სწორედ ეს თვისება ხდის ადამიანს დაუცველს და ეშმაკს, როგორც ბოროტების სიმბოლოს, საშუალებას აძლევს, თავის მახეში გააბას კაცი. ეს ანდაზა მუდმივი სიფხიზლისკენ მოუწოდებს ადამიანს. ადამის ძეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ცდუნებები და სირთულეები არასოდეს სრულდება წუთისოფელში.

ისლამური თეოლოგიით, ეშმაკს არ აქვს ღვთაებრივი ძალა და ვერ შეცვლის ალაჰის ნებას. მან მხოლოდ შეიძლება აცდუნოს ადამიანი, მაგრამ საბოლოო არჩევანი ადამიანს რჩება. ყველა მორწმუნეს შეუძლია, ეშმაკს შეეწინააღმდეგოს ალაჰის ერთგულებითა და მის მიმართ აღვლენილი ლოცვებით.

3. **ეშმაკი, გარეგნობითი ასპექტები და აღქმები:** ადამიანს ეშმაკი მახინჯ, შეუხედავ არსებად წარმოუდგენია. ქართველები მეტად უშნო ადამიანს **ეშმაკის მაშხალას** ეძახიან. ამ გამოთქმას განსაკუთრებით მახინჯი ქალის მიმართ გაიგონებთ. გამოთქმა ირონიულია. იგულისხმება, რომ ადამიანი იმდენად უშნოა, თითქოს მისი შექმნისას თვით ეშმაკი „ანათებდა“ გზას. ეს გამოთქმა ასახავს ხალხურ კულტურაში არსებულ წარმოდგენას, რომ ყველაფერი მახინჯი და უშნო შეიძლება ეშმაკის (ბოროტი ძალის) ნამოქმედარი იყოს, განსხვავებით ლამაზისა და მშვენიერისგან, რომელიც ღვთაებრივ საწყისს უკავშირდება. ქართულ მეტყველებაში დასტურდება სხვა გამოთქმებიც: **ქვაზე დახატული ეშმაკი** ან **კლდეზე დახატული ეშმაკი** და გამოიყენება ულამაზო ან მახინჯი ადამიანის აღსაწერად. ეს გამოთქმები გულისხმობს, რომ ადამიანი ისეთი უშნო ან მახინჯია, როგორც პრიმიტიულად, უხეშად ქვაზე დახატული ეშმაკი. ეს შედარება უკავშირდება ფაქტს, რომ ეშმაკებს ტრადიციულად ხატავდნენ როგორც მახინჯ, დამახინჯებულ არსებებს, ხოლო ქვაზე ან კლდეზე შესრულებული პრიმიტიული ნახატები ხშირად არ გამოირჩეოდა ესთეტიკურობით. შესაბამისად, როდესაც ადამიანს ადარებენ „ქვაზე დახატულ ეშმაკს“, მის არამიმზიდველ გარეგნობას უსვამენ ხაზს. არაბულ კულტურაში ქვებზე ან კლდეებზე დახატული ეშმაკის კონკრეტული ხატი არ არის გავრცელებული. ულამაზო ადამიანზე არაბები ამბობენ: **وجهه مثل الشيطان**, „სახე ეშმაკს მიუგავს“ ან **كأنها عفرينة**, „თითქოს იფრითია“ (იფრითი ეშმაკის სახეობაა). **وجهها مثل الشيطان**, „სახე ეშმაკივით აქვს“, მახინჯია, როგორც **فبيحة كالغول**, „შეშინებული“ (ღული დემონური არსებაა არაბულ ფოლკლორში). **شكلها من جهنم**, „მისი გარეგნობა ეშმაკის ნახელავია“. **مثل وجه البومة**, „სახე ბუს მიუგავს“ (ბუ არაბულ კულტურაში ხშირად ასოცირდება ცუდ იერთან). **وجهه يوقف الساعة**, „მისი სახე საათს აჩერებს“. იმდენად უშნოა, რომ დროც კი ჩერდება. **الشيطان**, „სახე, რომელიც ეშმაკსაც კი აშინებს“. (აქ.ფრაზ.ლექს) ზემოთ დასახელებული რამდენიმე არაბული გამოთქმა ოდნავ განსხვავებული კონტექსტით ეხმიანება ქართულ „ქვაზე დახატულ ეშმაკს“. ეს გამოთქმები და შედარებები დღეს არაბულ სამყაროში არაეთიკურად ითვლება და ერიდებიან მის გამოყენებას. არაბულ კულტურაში მახინჯი ადამიანის ეშმაკთან შედარება მხოლოდ ფიზიკურ გარეგნობას არ გულისხმობს და ყურადღება უფრო გამახვილებულია ადამიანის ხასიათზე, ზნეობასა და ქცევებზე. უფრო მეტად ხაზგასმულია ადამიანის შინაგანი თვისებები, ზნეობა და ქცევა, ვიდრე ფიზიკური გარეგნობა. ეშმაკი არაბულ კულტურაში ძირითადად განიხილება როგორც სიმბოლო ბოროტებისა, ცდუნებებისა და მორალური უკუსვლისა. საქართველოში ძველი რწმენით, ადამიანის შემაცდენელს **ალიკუდას** უწოდებდნენ. ალიკუდა ავსულის ერთ-ერთი სახეობაა, იშვიათი სილამაზის, გრძელთმიანი [2, 1979:188-193]. არაბულ კულტურაში მაცდუნებელ ქალზე საუბრისას რამდენიმე საინტერესო გამოთქმა არსებობს, რომლებიც გარკვეულწილად ჰგავს ქართულ „ალიკუდას“ კონცეფციას: გაიძვერა, ეშმაკ ქალზე არაბულში გაიგონებთ: **عبد القرد/ ثعلب , مصيدة الشيطان**!

არაბები თვლიან, რომ ქალი, რომელსაც მამაკაცის ცდუნება შეუძლია, ეშმაკის იარაღია. ეს წარმოდგენა უდევს საფუძვლად გამოთქმას, რომ **ქალი სატანის მახეა**: النساء حبال الشيطان. (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, <http://idioms.tsu.ge>. فتنة - ეს სიტყვა პირდაპირ ითარგმნება როგორც „ცდუნება“ ან „განხეთქილება“. ხშირად ამ სიტყვას იყენებენ ძალიან მიმზიდველი ქალის აღსაწერად, რომელიც მამაკაცებს აცდუნებს. ساحرة - „ჯადოქარი ქალი“. იგი თავისი მიმზიდველობით აჯადოებს მამაკაცებს. شيطانة - „ქალი ეშმაკი“. იგი ყველაზე ახლოს დგას ქართულ „ალიკუდასთან“, რადგან ეს არის ქალი ეშმაკი, რომელიც ცდუნებისთვის იყენებს თავის სილამაზეს. ასევე გავრცელებულია გამოთქმა: الجنية جميلة مثل „ჯინივით ლამაზია“. „ჯინი“ არის ზებუნებრივი არსება. ეს შედარება ამბივალენტურია. ჯინი შეიძლება იყოს როგორც შემაცდენელი და სახიფათო, ისე მშვენიერი და მომხიბვლელი. ზემომოყვანილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული „ალიკუდას“ კონცეფციას, რომელიც აღწერს ლამაზ, გრძელთმიან ეშმაკ ქალს, არაბულ მითოლოგიაშიც აღმოაჩნდა პარალელები, განსაკუთრებით „ლულასა“ და „ჯინის“ სახით, რომლებიც ასევე მაცდუნებელი ქალი დემონები არიან; (შდრ. ძვ. სლავური вѣдьма, чаровница, გერმან. hexe < პროტო-გერმანიკული *hagatusjon).

4. ეშმაკი და დადებითი კონოტაცია: არაბულ და ქართულ ტრადიციებში ეშმაკი წარმოადგენს ბოროტების, ცდუნებისა და უბედურების განსახიერებას, ამიტომ მასთან დაკავშირებული გამოთქმები უმეტესად უარყოფითი კონოტაციისაა. თუმცა, არსებობს რამდენიმე ანდაზა, რომლებშიც ეშმაკი არ არის უარყოფითი დატვირთვის მქონე, პირიქით, მას მოხერხებულობისა და ჭკუის სიმბოლოდაც იყენებენ.

ქართულში დასტურდება გამოთქმა **ეშმაკის ფეხი**, რომელსაც მოუსვენარ, მოხერხებულ ბავშვზე ამბობენ და ფართოდაა გავრცელებული მეტყველებაში. ასეთ ბავშვს ყოველგვარი გასაჭირისგან თავის დაძვრენაში ვერავინ სჯობნის. დღეს მორწმუნე ქართველებში ეს გამოთქმა ხშირად კამათის საგანია. რადგან ეშმაკი ღვთის მტერია, ამ გამოთქმის გამოყენებას მორწმუნე ქრისტიანები ერიდებიან. شيطان صغير „პატარა ეშმაკს“ უწოდებენ არაბებიც ცელქ და მოხერხებულ ბავშვს. გამოთქმა: أنت شيطان **შე ეშმაკო, შენა!** არაბულშიც მოხერხებულს, ჭკვიანს ნიშნავს და მას იმ შემთხვევაში იყენებენ, თუ უნდათ, ვინმეს ჭკუა და სიმარჯვე გამოკვეთონ ან ცბიერება დადებითად შეაფასონ. მსგავსი მნიშვნელობით გაიგონებთ ამ გამოთქმებსაც: مكار مثل الشيطان „ეშმაკივით ცბიერია“, له عقل الشيطان „მას ეშმაკის ჭკუა აქვს“ [5]. აღნიშნული გამოთქმებით მთქმელი აღიარებს პიროვნების გამჭრიახობასა და სირთულეების გადალახვის უნარს. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად ეშმაკი ბოროტებასთან ასოცირდება, ყოველდღიურ საუბარში მისი ხსენებით ადამიანმა შეიძლება გამოხატოს აღიარება, სიხარული ან გაკვირვება ვინმეს გონებამახვილობის მიმართ. أحياناً يقول الشيطان الحق „ზოგჯერ ეშმაკიც კი სიმართლეს ამბობს“. ეს ანდაზა მიანიშნებს, რომ ჭეშმარიტება შეიძლება მოულოდნელი წყაროდან მოვიდეს. أنكى من الشيطان „ეშმაკზე ჭკვიანია“. ეს შედარება შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც კომპლიმენტი ვინმეს გონიერებისა და მოხერხებულობის მიმართ. الشيطان يعلم بما في القدر „ეშმაკმა იცის, რა არის ქვაბში“. ამ ანდაზას იყენებენ იმ ადამიანის შესაქებად, რომელიც კარგად არის ინფორმირებული. الشيطان لا يحترق في النار [11, 2014: 298-302]. „ეშმაკი ცეცხლშიც არ იწვის“. ზოგიერთ ადამიანს ნებისმიერი სიტუაციიდან შეუძლია თავის დაღწევა. სწორედ ასეთ მოხერხებულ ადამიანს

მიემართება ეს გამოთქმა. უნდა შეინიშნოს, რომ სიტყვა **ეშმაკის** ხშირად გამოყენებას ქართველები არაბებზე მეტად ერიდებიან. მიაჩნიათ, რომ მისი ხშირი ხსენება გამოწვევაა და ამიტომ სჯობს, საქმიताც და სიტყვითაც უარი ვთქვათ მასზე.

5. ეშმაკისგან თავდაცვა და სიფრთხილე: ეშმაკი ადამიანს ცდუნების სახით. ყოველთვის ფეხდაფეხ დაჰყვება, თუმცა აღმოვჩნდებით თუ არა მისი გავლნის ქვეშ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული, ფიქრობს არაბი. الشيطان عند الباب، لكن السماح له بالدخول يعتمد عليك. „ეშმაკი კართანაა, მაგრამ შემოღშვებ თუ არა, ეს შენზეა დამოკიდებული“. სიფხიზლისაკენ მოუწოდებს ადამიანს ეს ანდაზაც და კიდევ ერთხელ შეახსენებს მას, რომ ეშმა ათასი საცდურით ხიბლავს ადამიანს. لا تسافر مع الشيطان، حتى وإن دعاك بالخبز والفخ. „ნუ იმოგზაურებ ეშმაკთან ერთად, თუნდაც პურითა და [კარგი] საჭმლით გეპატიჟებოდეს!“ სიტყვა لفخ ნიშნავს „ხაფანგს“, „მახეს“, ამიტომ ანდაზა შეიძლება ასეც ითარგმნოს: „ნუ იმოგზაურებ ეშმაკთან ერთად, თუნდაც პურითა და [მახით] გეპატიჟებოდეს!“ ანდაზა გადმოსცემს სიბრძნეს - ნუ ენდობი მაცდუნებელ შეთავაზებებს პოტენციურად საზიანო წყაროებისგან, რაგინდ მიმზიდველიც არ უნდა იყოს ის მოკლევადიან პერსპექტივაში. ქართული და არაბული ფრაზეოლოგია ხშირად აჩვენებს, რომ ეშმაკთან დაკავშირებული ქმედებები ან მატერიალური სარგებელი არასანდო და მოუხერხებელია. მაგალითად: خبز الشيطان ما يشبع. „ეშმაკის პური ვერ დაგანაყრებს“. ბოროტებით მიღებული შედეგი არასდროს იქნება საკმარისი ან დამაკმაყოფილებელი. საინტერესოა შემდეგი გამოთქმაც: „ბოროტების ფული ეშმაკის სასწორზე (პარალელურად, მხარდამხარ) მიდის (დადის)“ مال الخسيس يروح بمواز شيطان. რაც ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვებული სიმდიდრე განწირულია. ორივე გამოთქმა აფრთხილებს ადამიანს და უდასტურებს, რომ ბოროტება და უსამართლოდ მიღებული სარგებელი წარმავალი და მყიფეა. ეშმაკისაგან თავის დაღწევას ადამიანები ოდითგანვე სხვადასხვა გზით ცდილობდნენ. **ეშმაკმა არ გაიგოს, საქმეში არ ჩაერიოსო** და ამის გამო საგანზე, მაგალითად ხეზე, აკაკუნებდნენ. არაბულშიც გვხვდება გამოთქმა امسك الخشب „ხეს შეეხე!“ ეს რიტუალი მრავალ კულტურაშია გავრცელებული. ადამიანები ხშირად იყენებენ ამ ფრაზასა და ჟესტს (ხეზე დაკაკუნებას), როცა რაიმე კარგზე საუბრობენ და სურთ, რომ ბედნიერება გაგრძელდეს და ავი თვალი ან უბედურება არ მოიხიდონ. ხალხის წარმოდგენით, ხე ან ხის მასალა უბედურებისა და ავი სულებისაგან ბუნებრივ დაცვას წარმოადგენს. კიდევ უფრო ადრე ადამიანები ქვას ქვაზე ურტყამდნენ იმ იმედით, რომ ეშმაკი ქვებს შორის იქნებოდა და მოექცეოდა. ამ მოქმედებას ქართველი **ეშმაკის დაბმას** ეძახდა [2, 1979:188-193]. არაბულ კულტურაში ავი თვალისა თუ ეშმაკისგან თავის დასაცავად და გასაწეიტრალეზლად მრავალი ტრადიციული მეთოდი და ნივთი გამოიყენება. ცუდი თვალისა და ფეხის ადამიანის სტუმრობის შემთხვევაში არაბები სტუმრის კვალში შემობრუნებული ხელით მარილს ყრიან. ხშირია მარილის მიმოფანტვა სახლშიც. ცუდი ენერგიისგან ათავისუფლებთ მათ „დაწერილი“ ან „წაკითხული წყალიც“ (ماء مقروء / مكتوب ماء). ეს პრაქტიკა გულისხმობს წყალზე ყურანის აიებისა თუ ლოცვების წაკითხვას ან დაწერას (**წაკითხვის მეთოდი:** ყურანის აიები იკითხება პირდაპირ წყლის ჭურჭელში; **დაწერის მეთოდი:** აიები იწერება სპეციალურ ქაღალდზე, რომელიც შემდეგ იხსნება წყალში, ან იწერება წყალში ხსნადი მელნით. ამის შემდეგ ითვლება, რომ ეს წყალი იძენს სამკურნალო ან დამცავ თვისებებს. ეს წყალი გამოიყენება ავადმყოფობის განსაკურნავად, ავი თვალისგან

დასაცავად, ჯადოს ზემოქმედების მოსახსნელად, სულიერი განწმენდისთვის, ბარაქის მოსაპოვებლად. ისლამური სწავლებით, ამ პრაქტიკის ლეგიტიმურობაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს. **ნაკურთხი წყლის** გამოყენებას ვხვდებით ქრისტიანულ სამყაროშიც. ზოგიერთ არაბულ სოფელში ავი თვალისგან დამცველად ითვლება სხვადასხვა მცენარე. მაგალითად: ჭინჭარი (მიაჩნიათ, რომ მის მშუშხავ ფოთლებს აქვს ძალა, აიცილოს ცუდი ენერგია), ნიორი (მისი სუნი და თვისებები დაკავშირებულია დაცვასთან), ზეთისხილის ტოტები (მისი ტოტები წმინდა მცენარედ ითვლება), რეჰანი (მას ინახავენ როგორც სახლში, ისე მის ახლოს, რათა ბოროტი ენერგიისგან განიწმინდონ), რუთა/ტეგანი (არაბულად السذاب), ლათინური სახელწოდება *Ruta graveolens*. მცენარის ფოთლები შეიცავს ეთერზეთებს, რაც მას მძაფრ სუნს აძლევს. კიდებენ კარებთან ან რგავენ ქოთნებში. მის ტოტებს ათავსებენ ახალშობილის აკვანთან დაცვის მიზნით. ამ მცენარეების გამოყენება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ხალხური რწმენა-წარმოდგენების ნაწილია. ავი თვალისგან დაცვაში ეხმარებიან ადამიანებს უფროსები ან „ბარაქიანები“ (სულიერად ძლიერი პიროვნებები). ასეთი ადამიანები 113-ე და 114-ე სურებს უკითხავენ ადამიანებს, ისინი აკეთებენ თილისმებსა და ამულეტებს, რომლებზეც კითხულობენ ყურანის სხვადასხვა ლოცვას. ითვლება, რომ ეს დალოცვა ხელს უწყობს ადამიანის როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გაჯანსაღებასაც. ბოროტი ენერგიისაგან დასაცავად ბავშვებს შავი ნაჭერს ან ძაფს მიაბამენ მაჯაზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე ან კოჭზე, შავი ფერი მრავალი კულტურის მსგავსად, არაბულ ტრადიციაშიც დამცველ ფერად ითვლება. მიიჩნევა, რომ შავი აბრკოლებს ბოროტ ენერგიას და იცავს ბავშვს უარყოფითი ზემოქმედებისგან. ამავე მიზნით იყენებენ შავ მარცვლებსაც (الحبة السوداء) ე.წ. შავ კვლიავს, ნიგელას. „შავი მარცვალი“ არაბულ კულტურაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მუჰამად წინასწარმეტყველს მიეწერება გამოთქმა: *في الحبة السوداء شفاء من كل داء إلا السم* „შავ მარცვალს (ნიგელას) ყველა დაავადების განკურნება შეუძლია, გარდა სიკვდილისა“. ნიგელას გამოიყენებენ ტრადიციულ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა: ასთმა, ბრონქიტი, თავის ტკივილი და კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ავი თვალისაგან დასაცავად მას უმატებენ საკვებში, მისგან ამზადებენ ამულეტებს ან ათავსებენ სახლში. ზოგიერთ რეგიონში შავი მარცვლის ზეთს ისვამენ შუბლზე ან კისერზე დაცვის მიზნით. შდრ. **შავი გიშერი** الكهرمان الأسود. ქართული ტრადიციის მსგავსად, მას არაბებიც ავი თვალისაგან დასაცავად იყენებენ. შავ გიშერს შეხვდებით სამკაულებში, ამულეტებში, ლოცვის მძივებში. ორივე ხალხში არსებობს რწმენა, რომ შავი გიშერი ისრუტავს ნეგატიურ ენერგიას. თუ ის გატყდება, ეს ნიშნავს, რომ მან შეისრუტა ავი თვალის ნეგატიური ზემოქმედება. შავი გიშრის გამოყენების ტრადიციას საერთო ფესვები აქვს. იგი უნდა უკავშირდებოდეს სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებს შორეულ წარსულში. შავი გიშერი პოპულარულია აგრეთვე თურქულ, სპარსულ, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის კულტურებშიც. ბოროტი ძალებისა და ავი თვალისგან დასაცავად არაბულ სამყაროში პოპულარული თილისმაა ე.წ. ხამსა, خمسة „ფატიმას ხელი“, ხუთი თითის ფორმის ამულეტი, რომელსაც ატარებენ როგორც სამკაულის სახით, ასევე კიდებენ სახლის კედელზე. არანაკლებ პოპულარულია ახლო აღმოსავლეთის ტრადიციაში ავი თვალისაგან დამცველი ლურჯი თვალის ფორმის თილისმა, რომელსაც „ნაზარი“ الحسد/العين الزرقاء ჰქვია. პოპულარ-

რობით სარგებლობს ოქროსა და ვერცხლის სამკაულებიც რელიგიური სიმბოლოებით. ადამიანის ან სახლის განსაწმენდად იყენებენ სპეციალური არომატული მცენარეების კვამლსაც, ე.წ. ბუხურს (საკმეველს). არაბულ სამყაროში ჩამოთვლილი რიტუალების გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული და ხალხს სჯერა, რომ ამ მეთოდებით შეუძლია, თავი დაიცვას ავი თვალისა და უარყოფითი გავლენისგან. ყველა ზემოდასახელებული ტრადიცია და რიტუალი დაკავშირებულია ფოლკლორთან, რელიგიასთან ან კულტურულ რწმენებთან და ის საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემა. დღეს ეს რიტუალები განსაკუთრებულ პოპულარობას იწარჩუნებს უფროსი თაობის წარმომადგენლებში. გარკვეულ რიტუალებსა და ტრადიციებს ვხვდებით ქრისტიანებთანაც. ნათლობის დროს მღვდელი მოსანათლავს სამჯერ მიმართავს ასეთი სიტყვებით: **იჟმნი ეშმაკისგან?** ე. ი. განეშორები ეშმაკს და მის საამო საქმეს არ ჩაიდენ? მიმრქმელიც ეტყვის: ვიჟმნი, ე. ი. ვშორდებიო. **ეშმაკს შეაფურთხა** იტყვიან ადამიანზე, რომელიც ბოროტსა და ცუდ საქმეს თავს აარიდებს. გადაფურთხების რიტუალი ავი თვალისა და ეშმაკისგან თავის დასაცავად არაბულ სამყაროშიც გამოიყენება. ეს რიტუალი ცნობილია როგორც „ნაფს“ (نفث) ან „თაფლ“ (تفل) და მოიცავს მსუბუქ შეფურთხებას, უფრო ზუსტად კი ჰაერის გამობერვას ნერწყვის გარეშე ან ძალიან მცირე რაოდენობის ნერწყვით. ეს რიტუალი ხშირად სრულდება შემდეგ სიტუაციებში: როდესაც კითხულობენ ყურანის სურებს (განსაკუთრებით ბოლო სამს), რომლებიც მიიჩნევა დამცავად; რუქიას (როდესაც მკურნალი კითხულობს ყურანის აიებს და შემდეგ აფურთხებს სამჯერ); როდესაც ვინმე ფიქრობს, რომ მათ ან მათ ახლობელს „აინ“ (ავი თვალი) მოხვდა; ბავშვების დასაცავად, განსაკუთრებით ახალშობილების, რომლებიც ავი თვალის მიმართ მეტად დაუცველებად ითვლებიან. ეს რიტუალი ეფუძნება ისლამურ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც წინასწარმეტყველ მუჰამადს თავად ჰქონდა მსგავსი პრაქტიკა. ჰადისებში აღნიშნულია, რომ იგი ავადმყოფობის დროს (განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო დღეებში) იფურთხებდა ხელისგულებზე, ისვამდა სხეულზე და კითხულობდა დამცავ სურებს. ეს პრაქტიკა გახდა „რუქიას“ (ისლამური მკურნალობის) საფუძველი, რომელიც დღემდე გამოიყენება მუსლიმურ სამყაროში ავადმყოფების, ავი თვალისა და ჯადოსგან დასაცავად. ავი თვალისაგან გასაწმენდად არაბულ სამყაროში გაიგონებთ ამ სიტყვებსაც: تبرّد عينك „გაცივდეს შენი თვალები!“ გამოთქმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ „გაცივებული“ ან „გრილი“ თვალები მიიჩნევა უვნებლად და არ იწვევს ზიანს, განსხვავებით „ცხელი“ ან „შურიანი“ თვალებისგან. სპეციალური ლოცვებით მკურნალობენ ქრისტიანები **ეშმაკით შეპყრობილ** მონასტრებში. მორწმუნე ლოცვითა და მარხვით, მოთმინებით, თავმდაბლობით, სიმშვიდით, წმინდა წიგნების კითხვით ებრძვის ეშმაკს. მუსლიმი არაბიც თვლის, რომ ყურანი და სუნა არის სწორი გზა და ვინც ამ გზას აირჩევს, **ეშმაკი ვერაფერს დააკლებს**. სჯერა, أن حضرت الملائكة غابت الشياطين „ანგელოზები თუ შენკენ არიან, ეშმაკიც ვერაფერს დაგაკლებსო“ [5]. أما الشيطان فهو فقط من يلوث الطريق البقاء على الطريق الصحيح لا يمكن إلا بمساعدة الله, „სწორ გზაზე დარჩენა მხოლოდ ღვთის შემწეობითაა შესაძლებელი, გზას კი ეშმაკი აბინძურებს“. გამონათქვამი ხაზს უსვამს, რომ სწორ გზაზე ყოფნა მხოლოდ ღვთის მხარდაჭერითაა შესაძლებელი. ეშმაკი სიმბოლოურად განიხილება, როგორც ძალა, რომელიც გზას აბინძურებს და ცდუნებებითა და მავნე ზრახვებით სწორი გზიდან გადაახვევინებს ადამიანს. إذا اعترضك الشيطان، أعد إيمانك إلى الخلف „თუ ეშმაკი გადაგეღობება,

დააბრუნე შენი რწმენა უკან“. ეს გამოთქმა ასახავს ისლამურ რწმენაში არსებულ კონცეფციას, რომ ეშმაკი ცდილობს ადამიანების ცდუნებას და მათ სწორი გზიდან გადაყვანას, მაგრამ რწმენითა და ღვთისმოსაობით შეიძლება ამ ცდუნებების გადალახვა. ეშმაკთან ბრძოლა ისლამის რწმენის, არაბული ანდაზებისა და გამოთქმებით რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნება: **რწმენის სიმტკიცე და ღმერთის მინდობა:** بِسْمِ اللَّهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ (ღვთის სახელით, მოწყალისა და მწყალობლის სახელით ნებისმიერი ქმედების დაწყება); **ცდუნებებისგან თავშეკავება:** الوقاية خير من العلاج (პროფილაქტიკა სჯობს მკურნალობას). სჯობს, თავიდან ავიცილოთ ცდუნებები და ბოროტება, ვიდრე მოგვიანებით ბრძოლა გამოვუცხადოთ მას; **სიფხიზლე და სიფრთხილე:** الشيطان يَكْمُنُ فِي التَّفَاصِيلِ „ეშმაკი დეტალებში იმალება“. ეს მიანიშნებს, რომ ბოროტება და ცდუნებები ხშირად უმნიშვნელო ან ჩვეული დეტალებიდან იწყება, ამიტომ ადამიანი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს; **თავდაჯერებულობის მოზომვა:** الغرور هو بداية السقوط „ამპარტავნობა დაცემის დასაწყისია“. ეს მიანიშნებს, რომ ადამიანს თავმდაბლობა და სიფრთხილე სჭირდება ეშმაკის მახეების ასარიდებლად; **შინაგანი ძალისა და ზნეობის დაცვა:** ეშმაკი არა მხოლოდ გარეგნული მტერი, არამედ შინაგანი კონფლიქტების ნაწილიცაა. არაბული ანდაზები ხშირად ხაზს უსვამს ადამიანის მორალურ სიძლიერეს: النفس أَمَارَةٌ بالسُّوءِ „სული ბოროტებისკენ მოუწოდებს“. შდრ. إِنَّ النَّفْسَ لَأَمَّارَةٌ بِالسُّوءِ. ყურანი, იუსუფის სურა (12), აია 53; [12]. ეს ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა გააკონტროლოს საკუთარი სურვილები და ზრახვები, რათა ეშმაკის გავლენის ქვეშ არ მოექცეს; **სწორი გზის პოვნა და სიმართლისკენ სწრაფვა:** ეშმაკთან ბრძოლისას სწორ გზაზე დგომა და ჭეშმარიტების ძიება ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. არაბული ანდაზა: من وجد الله، وجد الطريق „ვინც ღმერთი იპოვა, იპოვა გზაც“ ნიშნავს, რომ ღვთის მორწმუნე ადამიანი უკეთ შეძლებს ეშმაკის ცდუნებების გადალახვას და სწორი გზის არჩევას.

დასკვნა: ქართულ და არაბულ ენებში ეშმაკი და მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ასახავენ კულტურულ ფასეულობებს, ზნეობრივ შეხედულებებსა და ადამიანური ბუნების ანალიზს. ეშმაკი ხშირად ნეგატიური სიმბოლოა. იგი ასოცირდება ბოროტებასთან, სიმდაბლესთან, სიხარბესა და მზაკვრობასთან, თუმცა, პარადოქსულად, ის ასევე შეიძლება იყოს მოხერხებულობისა და ჭკუის სიმბოლო. ქართული და არაბული ანდაზებისა და გამოთქმებით, ორივე ტრადიციაში ეშმაკი წარმოდგენილია როგორც მაცდუნებელი ძალა. ორივე კულტურაში დადასტურებული ანდაზები ხშირად გამოიყენება სწავლებისთვის. ორივე კულტურაში გვხვდება ანდაზები, რომლებიც გვიჩვენებს ვიყოთ ფრთხილად და არ ავყვეთ ცდუნებას. ეშმაკთან ბრძოლა არის სულიერი, მორალური და ზნეობრივი პროცესი, რომელიც მოითხოვს სიფხიზლეს, მოთმინებას, ღმერთზე მინდობასა და შინაგან ძალას, საღვთო წიგნებისა და ლოცვების კითხვას, მარხვას, ქველმოქმედებას, სათნო საქმეებს. ეს ბრძოლა ცხოვრების განმავლობაში უწყვეტია და გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანის უნარზე, იყოს ზნეობრივად მტკიცე და სულიერად ძლიერი. რაც შეეხება განსხვავებას, არაბულ ანდაზებში ეშმაკი (شيطان) ხშირად წარმოდგენილია ისლამური ტრადიციის კონტექსტში, მაშინ როცა ქართულში ქრისტიანული გავლენაა უფრო ძლიერი. არაბულ სამყაროში ეშმაკზე ანდაზები უფრო ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, რადგან ისლამურ კულტურაში შაიტანის ხსენება უფრო მიღებულია. არაბულ ენაში ეშმაკის აღმნიშვნელი ტერმინების მრავალფეროვნება მეტია (إبليس, وسواس) და ა.შ.). აღნიშნული

ანალიზი ცხადყოფს, რომ ეშმაკის კონცეპტი არა მხოლოდ რელიგიურ კონტექსტში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც ქართულ, ისე არაბულ კულტურებში.

ლიტერატურა:

1. რუსიეშვილი, მ., ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი კვლევის საკითხები, თბ., 2005;
2. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979
3. ქართული ანდაზები, შეადგინა ა.კანდელაკმა, თბ., 1959
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, თბ., 1986
5. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო დონდი <http://idioms.tsu.ge>;
6. ხაჭაპურიძე ლ., ბიბლიური ფრაზეოლოგიზმები ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში, ქუთაისი, 2005
7. Арабские пословицы и поговорки. Составитель Абуль-Фадль аль-Майдани (умер в 518 году по мусульманскому летоисчислению). Перевод с арабского Ильнур Сарбулатов. www.nuruliman.ru
8. Баранов Х., Арабско-русский словарь. 1977.
9. Е. В. Кухарева, Словарь арабских пословиц и поговорок, М. 2008.
10. Фавзи А., Шкляр В.Т., Учебный русско-арабский фразеологический словарь, М. 1989..
11. Mahmoud Sami Mousa, A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic, Cairo, 2014
12. The Quranic Arabic Corpus - <https://corpus.quran.com/translation.jsp?chapter=12&verse=53>

Lela Avaliani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Lela.avaliani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.02>

For some expressions related to the devil in Arabic

Abstract

In all religions and in the imagination of people we find the concept of good and evil spirits. Almost everyone believes that the reason of failure, illness can be an evil spirit, the devil.

There are many ideas and superstitions about evil spirits. In polytheistic religions, both demons and gods could do evil. On the other hand, in monotheistic religions, devils can be considered as servants of one god. In the ancient Near East, a demon was considered a less powerful and less individual being than God. They fought with magic spells.

Since the creation of the world, it has been referred to by different names. According to the Quran, Satan is born from fire. Before God created man, Satan lived as an angel.

The devil was jealous of the birth of the first man, Adam, and when God commanded the angels to prostrate before Adam, unlike them, the devil did not. The reason was explained as follows: "I am better than he, because God created me from fire and he from mud"! He was cast out by God

because of his pride. In one of the hadiths, the Prophet Muhammad speaks of Satan like this:” He moves through the human body like blood”.

It is clear in the verses and hadiths that the main purpose of the devil is to divert the human race from the right path. According to the Qur’an, a Muslim should always be careful and should not support the devil.

The analytical article presents several expressions in Arabic that use the word shaytan (devil). Observation of the material showed that the basis of the expressions in both languages are beliefs, the Bible, the Koran and church rituals. It turned out that this word is often used in a broader sense.

Key words: expressions related to the devil, Arabic language